ნინო სოხაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Nino.sokhadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.56

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეს აზროვნება?

საკვანძო სიტყვები: აზროვნება, ღირებულება

სკოლას გადამწყვეტი როლი აქვს მოზარდის ფორმირებაში, მის განათლებაში, ზნეობაში. როგორი მსოფლმხედველობა ექნება? რა ღირებულებების მატარებელი იქნება? იქნება სწორი ქრისტიანული მრწამსის მატარებელი, შეეძლება სინანული.

გოეთე თვლიდა, რომ განათლებაზე დიდი ადამიანის ზნეობაა. ის ამბობდა : „ ქედს ვიხრი განათლებული ადამიანის წინაშე, მაგრამ მუხლით ვდგები ზნეობრივი ადამიანის წინაშე“.

დღეს ეს საკითხი ასგზის მწვავეა. გლობალიზაცია, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, თავისუფლება - ამათმა ყველამ გამოიწვია ადამიანის გაუცხოება საკუთარ თავთან, სხვა ადამიანთან, კულტურასთან, ბუნებასთან და როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს გაჩნდა ხელოვნური ინტელექტი, ხელოვნური ადამიანი. ზოგი ამ დიდ პრობლემას სიხარულით იღებს, „სიახლეებს უნდა ეზიაროს კაცობრიობაო“.

მგონია, ასეთი ადამიანები ყოველთვის ხელოვნურები იყვნენ და მათ საქმე გაუადვილდათ. მაგრამ, რა ჰქნას მგრძნობიარე, ემოციურმა ადამიანმა, რომელსაც უნდა აზროვნება, რომელსაც ჰკლავს მეტის შემეცნების სურვილი, რომელმაც იცის რა არის სიყვარული, სიკვდილი, მონატრება, სინანული, ზეიმი, მწუხარება.

სამწუხაროდ, თანამედროვე ადამიანმა დაკარგა ინდივიდუალიზმი, შესაბამისად, აღარ არის ინდივიდი და არის მასიური ადამიანი. როგორი არის ის? პირველი, არ შეუძლია აზროვნება, ცხოვრობს სარგებლიანობის პრინციპით. თუ მას სჭირდება ადამიანი მასთან აქვს ურთიერთობა ადამიანები ანუ საზოგადოება საშიშ კიბეს დაემსგავსა, ყველას ჰყავს თავისი მონა, რომელსაც ბატონობს. ეს ნაჩვენები აქვს ფრანც კაფკას „დაცემაში“, სადაც მწერალი ამბობს : „ყველა ადამიანს სჭირდება ვიღაც, რომ უბრძანოს და როცა ამას ვეღარ პოულობს ძაღლს ან კატას დაიყენებს სახლში და ხდება მისი მბრძანებელი“.

ეს საშინელება არის ყველაფერში, საუბრის მანერაშიც კი. ეს კატასტროფა ძალიან ადრე შენიშნა ზურაბ კაკაბაძემ და ის თავის წიგნში „ფილოსოფიური საუბრები“ ამბობს, რომ : „ადამიანები შეცვლიან საუბრის მანერას. ის გახდება ძალიან ხელოვნური, აღარ იქნება ინდივიდის ხმა, ყველა ხმა იქნება ერთნაირი, შესაბამისად, ყველა საუბარი იქნება ერთნაირი“.

იყოს, იარსებოს მასიურმა ადამიანმა, რომ დავუშვათ ასეთი შესაძლებლობა, მაგრამ ეს დიდხანს ვერ იარსებებს, იმიტომ რომ, არ არსებობს მხოლოდ ერთი მხარე ანუ მხოლოდ სიკეთე ან მხოლოდ ბოროტება. არსებობს ორივე - მანფრედი და კაენი - და დღესაც, როცა

ასე მასიური გახდა მასიური ადამიანი და ასე ცოტა ინდივიდი, მაინც არის ბრძოლა მათ შორის. და ეს რომ არ იყოს, ცხოვრება შეუძლებელი გახდებოდა.

თანამედროვე მსოფლიოში კულტურაში, მწერლობაში, თეატრში, მუსიკაში იქმნება გაუგებარი ნაწარმოებები, რომლებსაც საფუძვლად უდევს თავისუფლება. ამ ნაწარმოებებს არ გააჩნიათ არც მხატვრული ღირებულებები, არც ესთეტიური ღირებულებები, არც საგანმანათლებლო და აღზრდელობითი.

კულტურა ასახავს იმ რეალობას, სადაც ვცხოვრობთ, რომლის არსი გახლავთ საკუთარი მე-ს წამოწევა, საკუთარი თავის განდიდება, საკუთარი თავის მიმართ ქრისტიანული მცნებების არ არსებობა, უფრო მეტიც, ქრისტიანული რელიგიის უარყოფა. მხოლოდ კომპიუტერის ცოდნა. სკოლა, ოჯახი (თუ კი სადმე არსებობს) ასწავლის მოსწავლეს თავი არავის დაუხარო, დაუხარე მხოლოდ მას, ვინც გჭირდება. თავს ნუ დაიღლი ხარისხიანი განათლების მიღებით. მთავარია მოხერხება გქონდეს, იყო პრაგმატული (ამერიკაში პედაგოგიკის მამად წოდებული ჯონ დიუის შეხედულებები, საგანმანათლებლო საფუძვლები, რომლებიც ემყარება სარგებლიანობის პრინციპს). ეს მხოლოდ ამერიკაში არ ხდება. ასე აზროვნებს მთელი მსოფლიო. ასე იზრდება მომავალი თაობები. მალე, ალბათ, ოჯახი საერთოდ არ იქნება. დღეს ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა. „ელექტრო“ ოჯახები მაინც არსებობენ. მალე კი ოჯახის არსებობის საჭიროება აღარ იქნება. მომავალ თაობებს, ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს აღარ სურთ ოჯახური პრობლემები, პასუხისმგებლობა. ამას ისინი დაღლას უწოდებენ და საკუთარ თავს თავისუფალ პიროვნებად თვლიან.

ამ თაობამ, სამწუხაროდ, უარი თქვა რელიგიაზე, რელიგიურ რიტუალებზე. მთლიანად არ არის ეს სენი მთელ ახალგაზრდობაში, მაგრამ საშიშროება ძალიან დიდია.

ზურაბ კაკაბაძე თავის წიგნში „ფილოსოფიური საუბრები“ წერს, რომ „დადგება დრო, როცა ქალები დაუთმობენ ადგილს კაცებს, როცა არ იქნება უფროსი და უმცროსი“. ბევრია ასეთი ცხოვრებისეული საკითხი.

რა არის ამის მიზეზი? შეიძლება თუ არა შველა? როგორ დავიწყოთ? ისევ რეფორმით? რამდენი განხორციელდა, სათვალავი ყველას არეული აქვს. წაკითხვაც რომ არ გინდა „იზმებით“ გაჯერებული წინადადებების. ძალიან რომ მოინდომო, ბევრი იკითხო, აზრს ვერ გამოიტან. იცვლებიან ხელისუფალნი და იცვლებიან საგანმანათლებლო რეფორმები.

საბედნიეროდ ერთი რამ ყველასათვის ჭეშმარიტებაა. ეს არის განათლებისადმი ლტოლვა და გააზრება იმისა, რომ მომავალი განათლებულ ერს აქვს.

ბოლო წლებია ყველა - განათლების სამინისტრო და ხელისუფლება - ცდილობს ხელფასების ზრდას მასწავლებლებისათვის (ზოგი იმასაც ამბობს არაფერი არ გვეზრდებაო). აქვე შევნიშნავ, რა დააშავეს უნივერსიტეტელებმა, მეცნიერ-თანამშრომლებმა? ისინი არ ითვლებიან მასწავლებლად? ან იოლია მათი საქმიანობა? მაგრამ, მასწავლებლებისათვის ამ ხელფასების ზრდამაც ვერ უშველა. რეალურად არაფერი შეცვლილა.

ამ ბოლო პერიოდში საინტერესოდ ისმის საკითხი იდენტობაზე, ტრადიციებზე, სუვერენიტეტზე ანუ როდის თქვა ლელთღუნიამ: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნოდესო“. ამ განცდამ, ამ ემოციამ, ამ აზროვნებამ გადაარჩინა ჩვენი პატარა საქართველო და ქართველი ხალხი. არ შეიძლება ფულისათვის ყველაფერი იკადრო და გაყიდო. გინდა მეგობარი, პარტნიორი, მაგრამ, არ შეიძლება მისგან ყველაფერი აიტანო. ამიტომ არ

გვიყვარს რუსეთი, რომ ის ამ ღირსებებს, ტრადიციებს გვართმევდა და რატომ უნდა შევიყვაროთ სხვა, თუ იგივეს აკეთებს.

სკოლას, განათლებას და ქვეყანას ეშველება მაშინ, როცა მშობლები დაბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში, თავიანთ ოჯახებში. ქვეყანას ეშველება მაშინ, როცა სკოლაში იქნებიან პროფესიონალი მასწავლებლები და არა პროტექციით მოხვედრილი. როცა მათი გაკვეთილის გაცდენა არ მოუნდება მოსწავლეს. როცა იქნება არა ეს გაუგებარი სახელმძღვანელოები და მოთხოვნები, არამედ სახელმძღვანელოები, რომელიც ცოდნას მოგცემს. როცა ყველას სურვილი არ იქნება უმაღლესი განათლება, როცა მშობელი, მასწავლებელი აზროვნებას ასწავლის, როცა მასწავლებელს არ შეეშინდება მოსწავლის მიერ დასმული შეკითხვის. როცა რელიგია იგივე სიყვარული იქნება, სულის მოთხოვნილება. როცა დამთავრდება მასიური ადამიანის ეპოქა და დაიწყება ინდივიდუალიზმის არსებობა.

ლიტერატურა:

ზურაბ კაკაბაძე „ფილოსოფიური საუბრები“

რ.ბალანჩივაძე, ასათიანი „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები“, თბილისი, 1998 წ.

Nino Sokhadze

Akaki Tseretli State University

Kutaisi, Georgia

Nino.sokhadze@atsu.edu.ge

https://doi.org/10.52340/lac.2025.10.56

How do we teach thinking?

Abstract

Education is the basic part of living country and power for it developing. Education is the way which will take us to the temple.

When we speak about education we first mean thinking which is individual. This is property for human and it is the great for human.

The ability of thinking or its existence is in individual but it needs developing. This begin in family which we called family environment.

Georgian people have traditional families, where live some generations, where they were reading stories, poems, tales and then begin how to understand these materials in warm environment.

Old generation teaches child how to express their emotions, the culture of listening. And today?

It is not family. Child is far from parents and himself or herself and fight for surviving themselves. School? Pupils do not interested lessons, do not listening teachers. Why? The learning process is misunderstanding. They do not know where is the right way which will take them to the temple. Teenagers do not know what is respect not themselves and also others.

Unfortunately school lost their charm and students do not love school.

For all of these we have society full of massive human and not individ.

Key words: thinking, Mankind